KA030176258890319

№ 01-6000 **17 / ივნისი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს ბატონ
დავით სერგეენკოს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის
შემსრულებლის მარიანა მკურნალის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 24-28 ივნისს ყაზახეთის რესპუბლიკაში ქ. ნურ-სულთანში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს მხარდაჭერით დაგეგმილია ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ საერთაშორისო სიმულაციური სასწავლო კურსი.

ტრენინგის მონაწილეები შეისწავლიან და გამოავლენენ ადამიანებით ვაჭრობის (მათ შორის, ბავშვების) შემთხვევებს უწყებათაშორისი მიდგომებით.

აღნიშნულ სასწავლო კურსში მონაწილეობის მიღების მიზნით მიწვეულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა და პროგრამების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ნატო ჩაფიძე.

ვიზიტთან დაკავშირებული ხარჯები (სასტუმრო, მგზავრობა და დღიური ნორმა) ანაზღაურდება აშშ საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს მიერ.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში უზრუნველვყოფთ მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი ნატო ჩაფიძისთვის მიმდინარე წლის 23 ივნისიდან 29 ივნისის ჩათვლით.

პატივისცემით,

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მარიანა მკურნალი